



## ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა დანილოვის აღდგომის ტაძრის განახლების სახელობის ტაძარში საღვთო ლიტურგია აღასრულა



2021 წლის 26 სექტემბერს, როდესაც იერუსალიმის აღდგომის ტაძრის განახლება (ენკენია) ხსენება აღინიშნება (ეს დღესასწაული ასევე აღდგომად წოდებული – Воскресение Словоущее იწოდება), მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა, დანილოვის აღდგომის ტაძრის განახლების სახელობის ტაძარში საღვთო ლიტურგია აღასრულა.

მეუფე ილარიონს თანამსახურებდნენ ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქთან, დიდმონაშე ეკატერინეს ტაძრის წინამძღვარი დანიელ

ანდრეიუკი, სსკგ-ს მართლმადიდებელთაშორისი ურთიერთობების მდივანი, დანილოვის აღდგომის ტაძრის განახლების სახელობის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი იგორ იაკიმჩუკი, სსკგ-ს სამღვდლო ხარისხის მქონე თანამშრომლები, მინვეული სასულიერო პირები.

სადიაკვნო მსახურებას საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარის თანაშემწე პროტოდიაკონი ვლადიმერ ნაზარკინი უძღოდა.

მრჩობლი კვერექსის შემდეგ მიტროპოლიტმა ილარიონმა სნების განმფენი ქარის დროს საკითხავი ლოცვა აღავლინა.

ღმრთისმსახურების დასრულებისას დეკანოზმა იგორ იაკიმჩუკმა მწყემსმთავარს მისასალმებელი სიტყვით მიმართა და სამრევლოს სახელით ქრისტეს აღდგომის გამოსახულებით მოხატული სააღდგომო კვერცხი აჩუქა.

საპასუხო სიტყვაში მიტროპოლიტმა ილარიონმა თქვა:

„ქრისტე აღდგა!

ყველას გილოცავთ ამ წმინდა ტაძრის დღესასწაულს და მოგესალმებით მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს სახელით, რომელიც ყველა თქვენგანს გადმოგცემთ თავის პირველმღვდელთმთავრის კურთხევას.

დღესასწაული, რომელსაც ჩვენ ახლა აღვნიშნავთ, IV საუკუნის ეკლესიის ისტორიიდან მნიშვნელოვანი მოვლენას გვახსენებს, როდესაც მოციქულთასწორმა იმპერატორმა კონსტანტინემ გადაწყვიტა რომაელთა მიერ დანგრეული ძველი იერუსალიმის ადგილას, აღედგინა ქრისტიანული ქალაქი, რომელიც მოსალოცი ცენტრი გახდებოდა მთელი მსოფლიოს ადამიანებისთვის. სწორედ მაშინ სასწაულებრივი სახით აღმოჩენილი იქნა მრავალი სინწინდე, მათ შორის უფლის ყოვლადპატიოსანი ჯვარი, რომლის ამალღებასაც უკვე ამ საღამოს აღვნიშნავთ.

იერუსალიმი – ქალაქი, სადაც ჩვენი უფალი იესო ქრისტე ჯვარს აცვეს და აღდგა. ქრისტიანული ეკლესიის მთელი ისტორია იერუსალიმიდან დაიწყო. ამიტომაც საღვთისმსახურო ტექსტებში იერუსალიმის ეკლესიას სამართლიანად ეწოდება დედა ეკლესია.

მაგრამ როდესაც ვიხსენებთ მე–IV საუკუნეში მომხდარ მოვლენას – იერუსალიმის აღდგენას, როგორც ქრისტიანული მომლოცველობის ცენტრს და ქრისტეს აღდგომის ეკლესიის აღდგენას, ჩვენი სულიერი მზერა თავად ქრისტეს აღდგომის მოვლენისკენ მიიმართება, რადგან სწორედ ამ მოვლენის საპატივცემულოდ აშენდა ეს ტაძარი.

შემთხვევით არ ჩამოყალიბებულა რუსეთში ტრადიცია: ტაძრებში, რომლებიც იერუსალიმის ქრისტეს აღდგომის ტაძრის განახლების დღესასწაულის სახელზეა აგებული, მსახურება საპასეჟო წეს-განგებით უნდა შესრულდეს, თავად ჩვენი უფლის იესო ქრისტეს აღდგომის მოვლენის გახსენებით. და სააღდგომო საგალობლები, რომლებიც დღეს მოვისმინეთ – რამდენიმე თვის წინ გასული აღდგომიდან, რამდენიმე თვის შემდეგ მომავალ აღდგომამდე – გვახსენებს იმ მოვლენას, რომლის წყალობითაც დედამინაზე არსებობს წმინდა ეკლესია.

როდესაც პავლე მოციქულს ჰკითხეს, რა არის ქრისტიანული რწმენის არსი, რა არის სახარება, რომელსაც ის ქადაგებს, პავლემ უპასუხა – როგორც ზეპირად, ასევე თავის ეპისტოლეებშიც: „რამეთუ ქრისტე მოკუდა ცოდვათა ჩუენთათვის, ვითარცა წერილ არს, და რამეთუ დაეფლა და რამეთუ აღდგა მესამესა დღესა, ვითარცა წერილ არს, და რამეთუ ეჩუენა კეფას და მერმე ათერთმეტთა მათ, და მერმე ეჩუენა უმრავლეს ხუთასისა ძმათა ერთ-გ ზის, რომელთაგანნი უმრავლესნი ცოცხალ არიან აქამომდე და რომელთამე შეისუენეს, მერმე ეჩუენა იაკობს და მერმე მოციქულთა ყოველთა, უკუანასკნელ ყოველთასა, ვითარცა ნარჩევსა, მეჩუენა მეცა“ (1 კორ. 15. 3-8).

პავლე მოციქული, როგორც ვიცით, ახალგაზრდობაში ქრისტეს ეკლესიის მდევნელი იყო. მაგრამ მას შემდეგ, რაც ის ქრისტესკენ მოექცა, რადგან თავად აღმდგარი ქრისტე გამოეცხადა მას დამასკოს გზაზე, პავლე მიხვდა, რომ მის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე სახარების ქადაგება უნდა გამხდარიყო. და ეს სახარება, როგორც ის ამბობდა, სხვა არაფერია თუ არა ქადაგება იმაზე, რომ იესო ქრისტე მოკვდა და აღდგა. ეს არის ყველაზე მთავარი, რასაც წმინდა სახარება გვიმონუმებს, ამის შესახებ ოთხივე მახარებელი გვიყვება.

ქრისტეს აღდგომა სახარებისეულ ისტორიასა და კაცობრიობის მთელ ისტორიაში მთავარ მოვლენას წარმოადგენს. ამ მოვლენის შედეგად სიკვდილი დამარცხდა და ყველა ხორციელისთვის თავად უფალ იესო ქრისტეს მიერ გაიხსნა გზა მკვდრეთით აღდგომისკენ. და თითოეულ ჩვენგანს შეუძლია თქვას საკუთარი თავის შესახებ, როგორც პავლე მოციქული ამბობდა, რომ სხვადასხვა თაობის თავისი მონაფეებისადმი აღდგომილი უფლის მრავალი გამოცხადების შემდეგ, ის მეც გამომეცხადა, როგორც ყველაზე უკანასკნელს, მიუხედავად ჩემი უღირსობისა, ცოდვისა, და თავი არა ერთხელ გამომიცხადა, არამედ მრავალჯერ. რადგან ყოველთვის, როდესაც ქრისტეს პასეჟი მოდის, ის მკვდრეთით აღმდგარი თავს გამოუცხადებს მთელს თავის კრებულს – თავის ყველა ამჟამინდელ მრავალმილიონიანი მონაფის კრებულს.

ჩვენ ამ მოვლენას ყოველ კვირა დღეს ვიხსენებთ, ჩვენ ვჭვრეტთ მკვდრეთით აღმდგარ უფალს მის წმინდა ძღვენში და ვიღებთ ჩვენს თავში, როდესაც ქრისტეს ხორცსა და სისხლს ვეზიარებით. ამიტომაც, ქრისტეს აღდგომის მოვლენა ყველა ჩვენგანისთვის რჩება იმ საფუძვლად, რომელზეც დაფუძნებულია ჩვენი ქრისტიანული რწმენა. და ამ მოვლენის ნათელი არ მკრთალდება არც წლების და არც საუკუნეების განმავლობაში. ის არ ბუყუტავს, აგრძელებს ისეთივე კაშკაშს.

ეკლესიაში ახალი და ახალი ადამიანი მოდის და ხვდება მკვდრებით აღმდგარ ქრისტეს. და ქრისტე – ჯვარცმული და აღმდგარი – გარდაქმნის თითოეული ადამიანის ცხოვრებას. ქრისტესთან შეხვედრა უკვე მომზადებულია ჩვენთვის მიწიერ ცხოვრებაში – ღვთისმსახურებაში მონაწილეობის მეშვეობით, ლოცვით, ქრისტეს წმინდა საიდუმლოთა ზიარებით, და სხვა საიდუმლოებებში მონაწილეობით.

ჩვენ მუდმივად ვხვდებით მკვდრებით აღდგომილ ქრისტეს. ჩვენ ვხვდებით მას ცხოვრების გზაზე, როგორც მას ორი მოწაფე შეხვდა. თავიდან მათ არც კი ესმოდათ, ვინ იდგა მათ წინაშე, რადგან მათი მასწავლებლის გარეგნობა შეიცვალა, მაგრამ მათ ის პურის გატეხვისას იცნეს. ასევე ჩვენც ვცნობთ მას, როდესაც წირვის დროს პური იკურთხება, განიტეხება და ქრისტეს ხორცად იქცევა, ხოლო ღვინო, კურთხევისას, ქრისტეს სისხლად იქცევა. ჩვენ ვცნობთ ჩვენს უფალს იესო ქრისტეს, რომელიც მოვიდა ყველა ჩვენგანის გადასარჩენად და გვიხსნის გზას მკვდრებით აღდგომისაკენ. ამიტომ ჩვენ კვლავ და კვლავ არ დავიღვებით ერთმანეთისთვის საპასაქო მისაღმებით: ქრისტე აღდგა!

დაე ქრისტეს აღდგომის სიხარული მუდამ ცოცხლობდეს ჩვენს გულებში. დაე აღდგომილმა უფალმა განგვაახლოს ჩვენ, როგორც განაახლა იერუსალიმის ქრისტეს აღდგომის ტაძარი, როგორც მან ჩვენს თვალწინ განაახლა ეს წმინდა ტაძარი, და ნანგრევებიდან აღდგენილი ათასობით სხვა ტაძარი, აღდგენილი ან ხელახლა აგებული, რათა ჩვენ მათში სულიერად განვახლდეთ, ვჭვრეტდეთ მკვდრებით აღმდგარ ჩვენს უფალ იესო ქრისტეს. ამინ“.

დასასრულ, მიტროპოლიტმა ილარიონმა სლობოდის დანილოვის აღდგომის ტაძრის განახლების სახელობის ტაძრის წინამძღვარს დეკანოზ იგორ იაკიმჩუკს ტაძრის დღესასწაული მიულოცა. მადლობა მოახსენა იმ შრომისათვის, რასაც მამა იგორი ასრულებს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილებაში, მწყემსთმთავარმა მას ძალის სიმტკიცე და ღვთის შეწევნა უსურვა ეკლესიის სასიკეთო მომავალ მსახურებაში.

მეუფემ ასევე მადლობა მოახსენა ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქთან, დეკანოზ დანიელ ანდრეიუკს ღვთისმსახურებაში მონაწილეობისთვის და ყველა დამსწრეს მწყემსთმთავრული კურთხევა გადასცა.

*სსკვ-ს კომუნიკაციების სამსახური*